პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 227 (5257)

1974 წ. 16 ნოემბერი, შაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

პრეტენდენტია კუპერმანი

ასუხრიან შაშში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ტურნირის დასკვნითი, XI ტურის წინ, გადადებული პარტიების დამთავრების დღეს, მხოლოდ ორი გამოტოვებული პარტია გათამაშდა. თუ გ. ბადიალი (იტალია) — მ. ლევშინის (იუგოსლავია) პარტიას მეტოქეთათვის დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ა. ანდრეიკოს (სსრ კავშირი) და ხ. ვირსმას (ჰოლანდია) შესვედრას შეეძლო პრეტენდენტობის ერთ-ერთი კანდიდატი დაესახელებინა. მაგრამ მშვიდობიანი თამაშის შემდეგ მეტოქეები ყაიმით დაკმაყოფილდნენ.

XI ტური ი. კუპერმანმა, ა. განტვარგმა (ორივე — სსრ კავშირი), ანდრეიკომ და ვირსმამ ქულათა თანაბარი რაოდენობით დაიწყეს. განტვარგმა და ვირსმამ ადვილად აჯობეს თავიანთს მეტოქეებს ბადიალისა და ე. კონვერსის (ჰოლონეთი). რთული ამოცანის წინაშე იდგნენ ანდრეიკო და კუპერმანი: ისინი ერთმანეთს შეხვდნენ. ბრძოლა მძაფრად წარიმართა. გაიმარჯვა კუპერმანმა.

ამრიგად, პრეტენდენტთა ტურნირი დამთავრდა. გთავაზობთ საბოლოო შედეგებს:

I. ი. კუპერმანი, II-III. ა. განტვარგი, ხ. ვირსმა — 8,5-8,5 ქულა, IV. ა. ანდრეიკო — 7,5, V-VI. გ. განიონი (კანადა), ფ. ვალდრონგი (სურინამი) — 5-5, VII-VIII. გ. ბადიალი, ბ. კადერაბეკი (ჩეხოსლოვაკია) — 3,5-3,5, IX. ე. კონვერსკი — 3, X. მ. ლევშინი — 2, XI. დ. კანდანე (შრი ლანკა) — 0.

კოეფიციენტთა ცხრილით, I ადგილი და პრეტენდენტის უფლებები კიეველ დიდოსტატ ი. კუპერმანს მიეკუთვნა. გაისად იგი მატჩში უნდა შეხვდეს მსოფლიო ჩემპიონ ტ. სეიბრანდსს (ჰოლანდია).

პრეტენდენტთა შეჯიბრებამ, რომელიც თბილისში, ჭადრაკის სასახლეში მიმდინარეობდა, ჩვენი დედაქალაქის სპორტული საზოგადოებრიობის დიდი ინტერესი გამოიწვია. ვფიქრობთ, ესოდენ მაღალკვალიფიციურ ოსტატთა თამაშის ნახვა საქართველოს შაშის მოყვარულებს გარკვეულ სარგებლობას მოუტანს.

გ. ტალახაძე,
საქართველოს შაშის ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე.

* * *

სურათებზე: დიდოსტატი ი. კუპერმანი. მეორე სურათი გადაღებულია გორში, სადაც პრეტენდენტთა ტურნირის მონაწილენი იყვნენ სტუმრად.

ფ. კოტორაშვილის ფოტოები.

ხუთი ლიდერი

ვენეცია, 14 ნოემბერი. მოჭადრაკე ვაჟთა აქ დაწყებული საერთაშორისო ტურნირი მწვავე ბრძოლაში მიმდინარეობს. 4 ტურის შემდეგ 3-3 ქულით ხუთი მონაწილე ლიდერობს. მათ შორის არის მოსკოველი დიდოსტატი, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ვ. სმისლოვი.

ჭადრაკი

ეხვეჩ ეჯეჯი-74

● **მახაჩყალა, 13 ნოემბერი.** რსფსრ-სა და პაკისტანის ბადმინტონისტთა აქ გამართული ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრა სტუმართა სასარგებლოდ დამთავრდა — 7:2. მოულოდნელი იყო პაკისტანის პირველი ჩოგნის ტ. სულთანის დამარცხება გორკელ ვ. რამილცევასთან.

● **ნოვი-სადი, 13 ნოემბერი.** იუგოსლავიის ნაკრებთან ბელგრადში ჩატარებულ ტრადიციულ მატჩში გამარჯვების შემდეგ სსრ კავშირის მოჭადრაკე ვაჟთა გუნდი აქ ვოივოდინის საკმაოდ ძლიერ კოლექტივს ეთამაშა. შეჯიბრება ორ ტურად ჩატარდა. გაიმარჯვეს საბჭოთა მოჭადრაკეებმა — 8,5:3,5.

● **გდანსკი,** 13 ნოემბერი. ჰაბუკ ჰოკეისტთა საერთაშორისო ტურნირის (ამ შეჯიბრებას „მეგობრობა“ ჰქვია) II ტურში სსრ კავშირის ნაკრებმა იოლად სძლია რუმინეთის გუნდს — 11:1.

„იზვესტიის“ პრიზისთვის ბრძოლაში

ჰოკეისტთა ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრება გაზეთ „იზვესტიის“ პრიზზე სულ უფრო მწვავდება — 12 ნოემბერს ბრძოლაში ჩაება ჩეხოსლოვაკიის ნაკრები. პრაღაში შვეიცის ეროვნულ გუნდთან გამართული მატჩი მეტისმეტად მწვავე გამოდგა. ანგარიში პირველ პერიოდში გახსნა შვედმა ლაბარატენმა. ეს პერიოდი ასევე დამთავრდა — 1:0. შემდეგ მასპინძლებმა ხელთ იგდეს მატჩის სადავეები და მეორე პერიოდში სამჯერ აიღეს სტუმრების კარი: შაიბები გაიტანეს აუგუსტამ, მარტინეცმა და ჭლიხამ. ამ ოცწუთიან მონაკვეთში სტუმართაგან მხოლოდ სიიდერსტრიომმა შეძლო გოლის გატანა.

დასკვნითს პერიოდში ნოვიმ (ჩეხოსლოვაკია) ანგარიში გაზარდა და მატჩი ჩეხოსლოვაკიის ნაკრების გამარჯვებით დამთავრდა — 4:2.

მეორე დღეს ეს გუნდები კვლავ ერთმანეთის პირისპირ დადგნენ. ანგარიში იმ დღესაც 4:2 (0:0, 3:1, 1:1) იყო, ოღონდ შვედების სასარგებლოდ.

პირველი შაიბა 25-ე წუთზე გაიტანა სიიდერსტრიომმა, მაგრამ წუთის შემდეგ მარტინეცმა თანაფარდობა აღადგინა. მერე შვედებმა ვიკსტრიომმა და სუნდკვისტმა 2 შაიბა გაიტანეს ცრკას კარში.

მესამე პერიოდის დასაწყისში სუნდკვისტმა კიდევ უფრო დააწინაურა თავისი გუნდი და მხოლოდ თამაშის დამთავრებამდე 5 წუთით ადრე მასპინძელთა ნაკრების ვეტერანმა ირჟი ჰოლიკამ ანგარიში სხვაობა შეამცირა.

ბრწყინვალედ ითამაშა შვეიცის ნაკრების მეორე მეკარემ ლოფკვისტმა.

„ეროვნული ბიბლიოთეკა“

სპორტსმენი მშდ

სხვები სად იმყოფნენ?

ცხინვალში — იტალიის „ბარტალის“ საოლქო საბჭოს ფიზკულტურული კოლექტივების პირად-გუნდური პირველობა მშდ კომპლექსის მძლეოსნურ მრავალჭიდში. პროგრამაში იყო: ქალებისთვის — 100 მეტრზე რბენა, სიგრძეზე ხტომა, ბირთვის კვრა, 500 მეტრზე კროსი; ვაჟებისთვის — 100 მეტრზე რბენა, ბირთვის კვრა, სიგრძეზე ხტომა, 1000 მეტრზე კროსი.

სტარტზე გამოვიდნენ ცხინვალის საკონსერვო ქარხნის, სამხატვრო და სამედიცინო სასწავლებლებისა და სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმოს წარმომადგენლები.

საერთო გუნდურ ჩათვლაში I ადგილი დაიკავა სამედიცინო სასწავლებლის ნაკრებმა. II ადგილზე არიან სამხატვრო სასწავლებლის, III — საკონსერვო ქარხნის ფიზკულტურელები.

შეჯიბრებაში მონაწილეობა არ მიუღიათ ავტობუსების შემკეთებელი, ქიმიური, მექანიკური, რიისა და ლუდის ქარხნების, პურკომბინატის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საქალაქო სამმართველოს და სხვა ორგანიზაციებს.

ნორმატივები ბევრმა ჩააბარა

ცხინვალის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის 200-მდე მოსწავლე ასპარეზობდა „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“ საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის ნორმატივების ჩასაბარებლად.

მძლეოსნური ნორმატივები მონაწილეთა ნახევარზე მეტმა ჩააბარა.

ბ. ველკოპეი,
(ჩვენი კორ.).

ცხინვალი.

რაიონი — უუქურა

მასობრივი იყო სპარტაკიადა სოფელ კარაულში — ყაზახეთის სემიპალატინსკის ოლქის აბაის რაიონის ცენტრში. 200-ზე მეტმა ადამიანმა ჩააბარა მშდ კომპლექსის ნორმატივები ან თანრიგოსანი სპორტსმენის საბელი მოიპოვა.

მეცხვარეობის 25 ბრიგადაში რაიონის სკოლების 270 კურსდამთავრებული მუშაობს. ბრიგადებში შექმნილია კარგი პირობები სპორტში მეცადინეობისთვის.

აბაის რაიონმა გაიმარჯვა სპორტულ-მასობრივ მუშაობაში რესპუბლიკური მასშტაბით გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ალმა-ათა.

(საკდესი).



სიჭაბუკე სიბერემდე

უსურიისკის მანქანათსაშენებელი ქარხნის ინჟინერს, ჭამუკური აღნაგობის პ. გუდკოვს ქალაქის ყველა სპორტსმენი იცნობს. მას მოპოვებული აქვს მშდ კომპლექსის ოქროს სპეციალური ნიშანი, არის პირველი კატეგორიის მსაჯი ფეხბურთში და არავის სჯერა, რომ 66 წლისაა.

დღევრძელობის „საიდუმლო“: გუდკოვი ახალგაზრდობის წლებიდანვე ფიზკულტურის ერთგულია. იგი გატაცებული იყო მძლეოსნობითაც, ფეხბურთითაც, ფრენბურთითაც. შარშან ზამთარში ვეტერანი სათაევში ჩაუდგა მოთხილამურეთა ჯგუფს, რომელმაც მოაწყო დიდი გადასვლა ტაიგაში, მერე კი ახალგაზრდა სპორტსმენებთან ერთად ქვეით ლამქრობებშიც მონაწილეობდა. ამგვარად იგი ქარხანაში ფეხბურთისა და ჰოკეის მოყვარულებსაც ხელმძღვანელობს.

ა. გულიანსკი.
(საკდესის კორ.).

უსურიისკი.

სამარცხვინო გადაწყვეტილება

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ სამხრეთ აფრიკის რასისტულ რეჟიმს ჩამოართვა თავისი XXIX სესიის მუშაობაში მონაწილეობის უფლება. ეს გადაწყვეტილება განაპირობა იმ გარემოებამ, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ირღვევა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დეკლარაცია. რამდენიმე დღით ადრე კი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ჩოგბურთელებს შეხვედრების ჩაუტარებლად მიეკუთვნათ გამარჯვება დევისის თასის გათამაშების ფინალში, ვინაიდან ინდოეთის ნაკრებმა ზემოხსენებული მოტივებით უარი თქვა მათთან თამაშზე.

ამ ორი ფაქტის დაპირისპირება მოწმობს, რომ დევისის თასის გათამაშების ხელმძღვანელმა კომიტეტმა გამოააშკარავა თავისი სიმპათიები რასისტების მიმართ. ამას მოწმობს ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის გენერალური მდივნის, ინგლისელი ბ. რეის მოქმედებაც. იგი ფინალისტთა გამოვლენის დღიდანვე ყოველი ღონით, მათ შორის სანქციის გამოყენების მუქარითაც კი ცდილობდა დაეყოლიებინა ინდოელი ჩოგბურთელები მატჩის ჩატარებაზე.

კომიტეტმა, რომელიც შვიდი კაცისგან შედგება (მათგან არჩეულია მხოლოდ სამი, ვინაიდან დანარჩენები ამ შეჯიბრებაში გამარჯვებული ქვეყნების წარმომადგენლები არიან) თითქმის ერთსმად მიიღო ეს სამარცხვინო გადაწყვეტილება.

სამხრეთ აფრიკის ეროვნული კონგრესის წარმომადგენლობის მეთაურმა მ. მულამ დელიში გამართულ პრესკონფერენციაზე მადლობა გადაუხადა ინდოეთის ჩოგბურთელებს პრინციპული პოზიციის დაცვისთვის. მან თქვა, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში კვლავ მეფობს აპარტეიდი და რასობრივი დისკრიმინაცია, რომ კვლავ ირღვევა ქვეყნის მოსახლეობის 80 პროცენტის ძირითადი უფლებები, ბ. რეი და მისი თანამოაზრენი კი ამ ფაქტებს ყურადღებას არ აქცევენ და საქმით რასიზმის ადვოკატთა როლში გამოდიან. ამ შემთხვევაში შეჯიბრების წესების მოშველიება ვერ დაფარავს

(დასასრული მე-4 გვ.).

სეგონის ბოლო აკორდი

ძიუდოს „იმპორტი" სსრ კავშირში 60-ახი წლების დამდეგს დაიწყო და მაშინვე ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენთა ერთ-ერთი საყვარელი სასეობა გახდა. ძიუდოს პოპულარობას საქართველოში რამდენიმე „ნიჭიერი" აქვს. მათ შორის უმთავრესია ამ სპორტის „სულიერი სიახლოვე" ქართულ ჭიდაობასთან.

ბოლო წლებში მკვეთრად გაიზარდა რესპუბლიკის ძიუდოისტთა წვლილი სსრ კავშირის ნაკრებ გუნდებში. ამიტომაც საკავშირო სპორტკომიტეტის მესაბამისი განყოფილების გადაწყვეტილებით, საქართველო (უფრო სწორად კი მისი ორი საჭიდაო ცენტრი — თბილისი და გორი) ოლიმპიური ნამზადისის ერთ-ერთ საყრდენ პუნქტად იქნა მიჩნეული.

შარშანდელი სეზონის მიწურულს შეჯამდა კომშლექსურ-პარალელური ჩათვლის შედეგები ძიუდოში რესპუბლიკებს შორის. მსგდველობაში იქნა მიღებული 1973 წელს ჩატარებულ საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებათა მაჩვენებლები. საქართველოს ამ საინტერესო დაუსწრებელ ბრძოლაში I გუნდური ადგილი დაიკავა და II ადგილზე გასული რუსეთის ფედერაციის კოლექტივი მთელი 111 ქულით ჩამოიტოვა. ეს იყო ჩვენი რესპუბლიკის ძიუდოისტთა დიდი გამარჯვება და მათი წარმატებების ღირსეული აღიარება.

ჩვენი რესპუბლიკა წლეულსაც მოწონაგე პოზიციაზე დგას და ერთ-ერთი მთავარი ფავორიტია. ამ აზრის დასადასტურებლად საკმარისია გავიხსენოთ შედეგები წლევანდელი საკავშირო ჩემპიონატისა, რომელიც საქართველოს ნაკრების 9 წევრმა 11 საპრიზო ადგილი მოიპოვა.

ყველაზე დიდ წარმატებას, როგორც ცნობილია, ჯიბლო ნიჟარაძემ მიაღწია. მან ოქროს მედალი მოიგო აბსოლუტურ კატეგორიაში და ბრინჯაოსი — მძიმე წონაში. ჩემპიონი გახდა რამაზ ხარშილაძეც. ხოლო ოლიმპიურმა ჩემპიონმა შოთა ჩიჩიშვილმა ვერცხლის მედალი მიიღო მძიმე წონაში და ბრინჯაოსი — აბსოლუტურ კატეგორიაში. ვერცხლის მედლები დაისაკუთრეს, აგრეთვე, გურამ გოგოლაურმა, შენგელი ფიცხელაურმა და თეიმურაზ ხუბულურმა. ამირან ობვაიძე, აბდულა ბარკალაევი და აბესალომ წიკლაური ბრინჯაოს ჯილდოებს დასჯერდნენ.

დღეს ყარაგანდაში იწყება თასის I საკავშირო გუნდური გათამაშება. ეს იქნება ძიუდოისტთა ბოლო შეჯიბრება, რომელიც შეჯამებს 1974 წლის სეზონის შედეგებს. გვჯერა, რომ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები ამჯერადაც გამარჯვებული დაგვიბრუნდებიან.

ნ. ახვლედიანი.

* * *

ხერათებზე: 1974 წლის საკავშირო ჩემპიონატის პრიზიორები (მარცხნიდან) — ჯ. ნიჟარაძე, რ. ხარშილაძე, ზ. ჩიჩიშვილი, შ. ფიცხელაური, გ. გოგოლაური, თ. ხუბულური, ა. ობვაიძე, ა. ბარკალაევი, ა. წიკლაური.

ქალაქნობის დარბაზი... უფიცარნაგოდ

ამას წინათ ცხინვალში ადგილობრივი ფიზკულტურელებისთვის დახმარების გასაწევად, სპორტული ინვენტარის გადასაცემად, გამოცდილების გასაზიარებლად მივლინებული იყვნენ საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტთამაშობათა განყოფილების უფროსი გ. გაჩეჩილაძე და ფეხბურთის სამმართველოს უფროსი ა. ზაზროევი. ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი ეწვია გაჩეჩილაძეს და შთაბეჭდილების გაზიარება სთხოვა.

— ცხინვალში ცუდ დროს ჩავედით, — თქვა გ. გაჩეჩილაძემ. — ისინი, ვინც უნდა გვენახა, მოსავლის აღების კამპანიაში იყვნენ ჩაბმული. ვინახულეთ სამხრეთ ოსეთის ფიზკულტურისა და სპორტის საოლქო კომიტეტის თავმჯდომარე ა. თედეევა და დიდი რაოდენობის სპორტული ინვენტარი გადავეცით. ცხინვალელ ფიზკულტურელებს საჩუქრად ჩავუტანეთ კალათბურთისა და ფრენბურთის ბურთები, ორი ბადრო, სპორტული ფორმები...

თავდაპირველად მოგახსენებთ იმის შესახებ, რაც მოგვეწონა და წახალისების ღირსად მიგვაჩნია. პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს ცხინვალის საბავშვო კლუბი, რომელსაც ორი მოზრდილი ოთახი უქირავს. აქ ჩამოყალიბებულია საჭადრაკო სექციები, რომლებსაც ორი გამოცდილი მწვრთნელი ხელმძღვანელობს. ადგილობრივმა ფიზკულტურის მესვეურებმა გვიჩვენეს რაიმე რესპუბლიკური მასშტაბის ღონისძიების ჩატარება ცხინვალში. ეს წინადადება ჩვენგან მბარდაჭერას იმსახურებს.

მოგვეწონა კრივის დარბაზი. მართალია, იგი მაინცდამაინც დიდი ვერ არის, მაგრამ კარგადაა მოწყობილი. კრივის თავდადებული ენთუზიასტის დიმიტრი დადიანის წყალობით აქ დიდი მუშაობა ტარდება, რის ნაყოფსაც ცხინვალელები უკვე იმკიან: დადიანის მოწაფეთაგან ორმა რესპუბლიკის ნაკრებში დაიკავა ადგილი.

კარგი სპორტული დარბაზია ცხინვალში, მაგრამ იატაკი ცემენტისაა, რაც ზამთარში მის გამოყენებას თითქმის შეუძლებელს ხდის.

ახლა კი იმის შესახებ მოგახსენებთ, რაც არ მოგვწონა და აუცილებლად გამოსწორებას მოითხოვს. ისეთი მდიდარი საჭიდაო ტრადიციების მქონე ქალაქში, როგორიც ცხინვალია, ჭიდაობის დარბაზი არ არის. ერთ დროს თურმე კარგი დარბაზი ჰქონიათ, მაგრამ იგი ხანძარს შეუწირავს, ახალი ბაზის აგებას კი ჯერაც ფიქრობს.

ქალაქის ცენტრალური სტადიონი ვერ აკმაყოფილებს ელემენტარულ მოთხოვნებსაც კი. არ არის სარბენი ბილიკები. რამდენიმე წლის წინათ დაუწყიათ მაყურებლებისთვის ტრიბუნების აგება, მაგრამ დღემდე სამუშაოს მესამედიც არ არის შესრულებული. არც საფეხბურთო მინდორია უყეთ მოვლილი.

სტადიონთან ახლოს მდებარეობს ტირა, რომელიც პირდაპირ უნუგეშო მდგომარეობაშია.

კარგად ვერ არის მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარების საქმე, ვინაიდან საცურაო აუზი არა აქვთ.

როცა ჩავედით, გვითხრეს, რომ მომდინარეობდა საოლქო სპარტაკიადა სპორტის 9 სახეობაში, მაგრამ შეჯიბრებების ნახვა ვერ მოხერხდა ზემოთ ნახსენები მიზეზების გამო.

ვერ არის კარგად საქმე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში. 12 სკოლიდან ორში საერთოდ არა აქვთ სპორტული დარბაზი, ხოლო ათში ეს ბაზები კეთილმოუწყობელია. არ გაჩენილან სპორტული ინვენტარი, ასევე ცუდ მდგომარეობაშია კომბინირებული სასკოლო სპორტული მოედნები. საოლქო პედაგოგიური ინსტიტუტის სპორტული დარბაზი პატარა და კეთილმოუწყობელია.

ბაზებით მდიდარი არც სპორტსაზოგადოებებია. „დინამოსა" და „სპარტაკს" დარბაზები საერთოდ არა აქვთ. „ვანთიადს" სამი აქვს, მაგრამ სამივე ერთობ მოუწყობელია. „ბურევესტნიკს" კარგა ხანია არავითარი სპორტული ღონისძიება არ ჩაუტარებია.

ZS-მეტრიანი საცურაო აუზის მშენებლობა დაწყებულია, მაგრამ უბარისხობის გამო შუა გზაზეა მიტოვებული. ძალოსნობის დარბაზში შეუძლებელია მეცადინეობის ჩატარება, რადგან არ არის მთავარი — ფიცარნაგები.

ცხინვალში არის სპორტნაწარმის მაღაზია, მაგრამ იქ რაიმეს შეძენაზე ფიქრიც ზედმეტია, ვინაიდან მხოლოდ უვარგისი საქონელი იყიდება.

ახლა ის ზოგადი სურათი, რაც ერთ დღეში ვიხილეთ. მდგომარეობა მართლაც მძიმეა, მაგრამ ჩვენი ჩასვლის მიზანიც ის იყო, რომ ადგილზე გავცნობოდით ვითარებას და ქმედითი ზომები მივველო ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ა. ფხაკაძე.

კომკავშირის საზრუნავი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „რესპუბლიკაში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების ზოგიერთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის აპარატში არსებული სერიოზული ნაკლოვანებების შესახებ" აღნიშნულია, რომ ბოლო წლებში რესპუბლიკის კომკავშირულმა და ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა საგრძნობლად შეასუსტეს მოსახლეობაში მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობა, ჯერ კიდევ ვერ იყენებენ სათანადოდ ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის ისეთ მნიშვნელოვან საშუალებას, როგორიც სპორტია, არსებული ბაზები ჯერ კიდევ არ გადაქცეულა მასობრივ-ფიზკულტურელი და გამაჯანსაღებელი საქმიანობის, მშრომელთა აქტიური დასვენების სამდგომ კერად.

საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის III პლენუმმა ოსეთ-პუელიის კომკავშირული ორგანიზაციების ყურადღება გაამახვილა რვენი რუსპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ზემოაღნიშნული დადგენილებით დასასული ამოცანების ძირულებისთვის ბრძოლის სასუალებებზე. აღინიშნა, რომ ამ საქმეში გადამწყვეტი სტადია უნდა თქვას საქართველოს ასალგაზრდობის კომკავშირულმა ორწლედმა, თაობათაგან — „არც ერთი დასაალებული პუნქტი, მიკრორაიონი მარტივი ტიპის სპორტული მოედნისა და ნაგებობის გარეშე".

ამაა წინათ სწორედ ამ ორწლედის ამოცანათა შესრულების მიმდინარეობას შესახებ იმსჯელა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ, როგორც ბიუროს სხდომაზე, ოთხეულმა — „არც ერთი დასაალებული პუნქტი, მიკრორაიონი მარტივი ტიპის სპორტული მოედნისა და ნაგებობის გარეშე".

ტყიბულსა და ზესტაფონის რაიონში კომკავშირული ორწლედის კარგად ჩატარებისთვის განსაკუთრებული ორგანიზაციების ძირითადი ამოცანები სოფლებსა და დასაალკულ პუნქტებში ძირეული ტიპის სპორტული მოედნების მშენებლობის, საცხოვრებელი ადგილების მისედვით ფიზკულტურულ-მასობრივი მუშაობის გაუჯობესებისა და მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებაში ახალგაზრდობის ფართოდ ჩაბმის საქმეში. ჩატარდა სპორტული ბაზების მშენებლობისა და კეთილმოწყობის ერთიანური და კვარულები, მასობრივი შეჯიბრებები მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებლად, სპორტული დღეასასწაულები და სხვა ღონისძიებები.

ტყიბულისა და ზესტაფონის რაიონის კომკავშირულ და ფიზკულტურულ ორგანიზაციებს სპორტული ბაზების ქსელის გაფართოებამ მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებაში ახალგაზრდობის ფართოდ ჩაბმის საშუალება მისცა.

ყურადღებას იმსახურებს ზესტაფონის გ. ნიკოლაძის სახელობის ფეროშენადნობთა ქარხნის კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციების კრთობლივი მუშაობა. ქარხნის საამქროებს შორის გაშლილია სოციალისტური შეჯიბრება მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის, თანრიგოსანთა მოზადების, საწარმო ტანვარჯიშის უკეთ დაყენების, სპორტმოედნების მშენებლობისა და კეთილმოწყობისთვის.

წლეულს ქარხნის ტერიტორიაზე და საკრთო საცხოვრებლთან მოეწყო ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები, შიდასაქარხნო სპარტაკიადაში ათასამდე მუშა-მოსამსახურე მონაწილეობდა. უკვე ნომშადებულია მშდ კომპლექსის 1100-ზე მეტი ნიშნისანი.

სპორტული ბაზების მშენებლობებზე დიდი შრომა გასწიეს ტყიბულელმა ახალგაზრდებმა: აქ სპორტის სახასლის მშენებლობა დამკვრელურ კომკავშირულ უბნად გამოაცხადეს.

აღსანიშნავია მშდ კომპლექსის მრავალჭიდნი გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას" პრიზზე 1974 წლის რესპუბლიკური პირველობის პირველი უტაძის დამთავრებასთან დაკავშირებით კომკავშირის ტყიბულის საქალაქო კომიტეტის მიერ ჩატარებული სპორტული ღონისძიებები, რომლებშიც 500-ზე მეტი ბაბუა და ქალიშვილი მონაწილეობდა. ფიზკულტურული ზეიმის დროს მოეწყო მესვედრები გამოჩენილ სპორტსმენებთან, ომისა და შრომის გმირებთან, ქალაქის მოწინავე ადამიანებთან. ჩატარდა მასობრივი შეჯიბრებები მშდ კომპლექსის მრავალჭიდნი და სპორტის ეროვნულ სახეობებში.

კომკავშირულ ორწლედში მონაწილეობის საინტერესო ფორმები და მეთოდები აქვთ შემუშავებული ტყიბულის ლენინისა და სტალინის სახელობის შახტების, სოფელ კურსების კოლსაკურნეოების, ტყიბულის მე-2 და მე-4, სოფელ ორპირის საშუალო სკოლების, ზესტაფონის რაიონის არგვეთის საბჭოთა მეურნეობის, ზესტაფონის მე-2 და მე-3, რკინიგზის მე-7 საშუალო სკოლების კომკავშირულ და ფიზკულტურულ ორგანიზაციებს.

საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ ისიც აღნიშნა, რომ კომკავშირის ტყიბულის საქალაქო და ზესტაფონის რაიონულ კომიტეტებს ჯერ კიდევ აქვთ ნაკლოვანებები, რომლებიც ხელს უშლის მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის გაშლას საცხოვრებელი ადგილების მიხედვით, საწარმო-დაწესებულებებში, კოლეგიურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებაში ახალგაზრდობის ფართო ფენების ჩაბმას.

ტყიბულისა და ზესტაფონის რაიონის ბევრ რიგ კომკავშირულ ორგანიზაციებში კომკავშირული ორწლედი შეფუშავებულია ზერეულად, არ იგრძნობა კონკრეტულობა, ორწლედის შტაბები შექმნილია ფორმალურად, არ ადგება ორწლედის მიმდინარეობის შეჯამება, სისტემატურ კონტროლს არ უწევენ ახალგაზრდულ კოლექტივებში შეჯიბრებების მსვლელობას.

ტყიბულის ორჯონიკიძის სახელობის შახტის არც ერთ პირველად კომკავშირული ორგანიზაციაში არ არის დანერგილი კომკავშირული ორწლედი. ტყიბულის საწარმოსა და ციხიის კოლმეურნეობების, მე-5 საშუალო სკოლის, ზესტაფონის კაბელებისა და შორაპნის ელექტროელემენტების ქარხნებში, პირველი ხვირის ხეპლის სანერგე და რადინოულის საბჭოთა მეურნეობების, ზესტაფონის მე-5 საშუალო სკოლის კომკავშირულ ორგანიზაციებს ჯერ კიდევ არავითარი პრაქტიკული მონაწილეობა არ მიუღიათ კომკავშირულ ორწლედში. ცხადია, ამ ორგანიზაციებში ფიზკულტურა და სპორტი ჩაძორჩება, სპორტბაზებია ქსელის გაფართოებისთვის არავინ ზრუნავს.

ტყიბულის საწარმოსა და ციხიის კოლმეურნეობებში ფიზკულტურულ-მასობრივი მუშაობა უადრესად დაბალ დონეზე დგას. წლეულს აქ არ მომზადებულა მშდ კომპლექსის არც ერთი ნიშნისანი და თანრიგოსანი სპორტსმენი, არ ჩატარებულა შიდასაკოლექტივო შეჯიბრებები.

ტყიბულის მე-5 საშუალო სკოლაში 1972 წლიდან არც ერთ მოსწავლეს არ მიუღია მშდ კომპლექსის სამკერდე ნიშანი.

შეეწყნარებელია ზესტაფონის კაბელების ქარხნის კომკავშირული ორგანიზაციის უმოქმედობა. იმის მიუხედავად, რომ საწარმოს ადმინისტრაციამ სპორტული მოედნებისთვის ადგილი გამოყო, ქარხანაში კომკავშირელებმა და ახალგაზრდებმა ამ მიზნით არაფერი გაუკეთებიათ. ფორმალურადაა შექმნილი ქარხნის ფიზკულტურული კოლექტივი, სპორტული სექციებიც მხოლოდ ქაღალდზე არსებობს.

კომკავშირის ტყიბულის საქალაქო და ზესტაფონის რაიონული კომიტეტების სუსტი მუშაობის შედეგია, რომ ბევრ პირველადს კომკავშირულ ორგანიზაციაში არ ჩატარებულა მშდ კომპლექსის ნრავალჭიდნი გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას" პრიზზე რესპუბლიკური ასპარეზობის პირველი ეტაპი.

საცხოვრებელი ადგილების მიხედვით ფიზკულტურულ-მასობრივი მუშაობის გაუჯობესებისთვის სათანადოდ ვერ იყენებენ შეჯიბრებას ფეხბურთში „ტაკვის ბურთის" კლუბის პრიზზე. ზესტაფონის რაიონულ პირველობაში მონაწილეობდა ნორჩ ფეხბურთელთა 10, ხოლო ტყიბულის საქალაქო პირველობაში — 8 გუნდი, მაშინ, როცა ზესტაფონის რაიონში 36 საშუალო და რვაწლიანი სკოლაა, ხოლო ტყიბულში — 25.

ტყიბულისა და ზესტაფონის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები, მუხედავად იმისა, რომ საჭირო მატერიალური ბაზა აქვთ და უმაღლესი ფიზკულტურული — განათლების მქონე სპეციალისტებიც ჰყავთ, ჯერ კიდევ არ გადაქცეულან სოფლად მასობრივ-სპორტული მუშაობის ცენტრებად.

ტყიბულსა და ზესტაფონის რაიონში არსად არის სარბენი ბილიკები. მშდ კომპლექსის ნორმატივებს ფეხბურთის სარბიელზე აბარებენ. ძალიან ცოტაა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, სადაც ღარი და ბაგირი აქვთ. მხოლოდ ტყიბულის ორპირის საშუალო სკოლაშია მოწყობილი წინაღობათა ხიდი (ისიც ძალიან პრიმიტიული). ცურვაში ნორმატივების ჩასაბარებლად არ იყენებენ მდინარეებსა და ბელოვნურ წყალსაცავებს.

საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ აღნიშნულ საკითხზე სათანადო დადგენილება მიიღო.

ეროვნული ტირაჟის შედეგები



შეჯამდა „სპორტლოტოს" და „სპორტლოტო-2"-ის 31-ე ტირაჟის შედეგები.

„სპორტლოტო": ექვსი ნომერი გამოიცნო მოსკოვის ერთ-ერთმა მკვიდრებმა, რომელიც 5000 მანეთს მიიღებს. ხუთი ნომრის გამოცნობისთვის შოგება 2019 მანეთია (149 ბილეთი), ოთხისთვის—40 (8837), სამისთვის—3 მანეთი (173181).

„სპორტლოტო-2": ექვსი ნომერი გამოიცნო სპორტული ლატარიის ერთმა ნოვოკუზნეცკელმა მოყვარულმა — 5000 მან. ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 833 მანეთია (132), ოთხისთვის—48 (2795), სამისთვის — 3 მანეთი (43802).

მოგებული თანხა გაიცემა შემნახველ სალაროებში 21 ნოემბრიდან 20 დეკემბრის ჩათვლით.

(სკანდინ).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი ფეხბურთი ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობა

ბურთაობის რეპერტუარი

13 და 14 ნოემბერს გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი შეხვედრები.

„სპარტაკი" — „პარპატი" 2:1. მიუხედავად ლვოველ ფეხბურთელთა მედგარი წინააღმდეგობისა, „სპარტაკმა" შეძლო იმ 2 ქულის აღება, რომლებიც გუნდს, ალბათ, ვერცხლის მედლებს მოუტანს.

ანგარიში გახსნა ლოვჩევმა, შემდეგ მინაევმა გაიტანა მეორე გოლი, ხოლო დანილიუკმა შეძლო ერთი სპასუხო ბურთის მოთავსება მახსინძელთა კარის ბადეში.

„ჩერნომორეცი" — „დინამო" (მოსკოვი) 0:0. III საპრიზო ადგილის პრეტენდენტებმა ვერც ერთი ბურთის გატანა ვერ შეძლეს და ეს არც არის გასაკვირი: ოდესის სტადიონზე მატჩის დროს იხეთი ნისლი იწვა, რომ ორ ათეულ მეტრს იქით აღარაფერი ჩანდა.

• • •

ახლა საკავშირო ჩემპიონატში ფაქტიურად გარკვეულია ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების მფლობელთა ვინაობა. უნდა ვივარაუდოთ, რომ II ადგილი დარჩება მოსკოვის „სპარტაკს", ხოლო III — ოდესის „ჩერნომორეცს". მოსკოველთა ბურთების ბალანსი შეადგენს +15 ბურთს, ხოლო ოდესელებისა +6-ს. ძნელად, რომ დარჩენილ თითო მატჩში ბურთების ეს სხვაობა შეიცვალოს „ჩერნომორეცის" სასარგებლოდ. შეგახსენებთ, რომ სპარტაკელები ტაშკენტში ხვდებიან „ფახთაქორს", ხოლო ოდესელები თბილისში — „დინამოს".



გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 16 ნოემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინ." (კ.)	28	14	12	2	48—20	40
„სპარტაკი"	29	14	9	6	38—23	37
„ჩერნომორ."	29	12	11	6	35—29	35
„დინ." (მ.)	29	10	11	8	41—29	31
„ტორპედო"	29	12	7	10	33—28	31
„ფახთაქორი"	29	10	10	9	45—41	30
„არარატი"	28	9	10	9	33—27	28
„შახტიორი"	28	8	12	8	31—31	28
„ზენიტი"	28	7	14	7	33—40	28
„დნეპრი"	29	9	10	10	30—38	28
„კარპატი"	29	7	12	10	29—32	26
„დინ." (თბ.)	28	6	14	8	24—32	26
ცსკა	29	7	11	11	28—33	25
„ზარია"	28	8	9	11	30—38	25
„ქარხანი"	29	7	10	12	35—46	24
„ნისტრუ"	29	4	8	17	31—57	16

ნახევარფინალები

მოგვყავს II ლიგის გუნდების ნახევარფინალურ გათამაშებათა ბოლოსწინა ტურის შედეგები, რომლებიც 13 ნოემბერს შედგა.

ბრონზი. „სუდოსტროიტელი" (ნიკოლაევი) — „ვულკანი" (ყაზახეთის პეტროპავლოვსკი) 1:2, „დილა" (გორი) — „იანგიერი" 0:0, „თერგი" (გროზნო) — „ვოლგა" (გორკი) 2:1.

გათამაშების ცხრილი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„თერგი" (გროზნო)	4	3	1	0	7—3	7
„დილა" (გორი)	4	2	1	1	4—3	5
„იანგიერი"	4	1	3	0	3—2	5
„ვოლგა" (გორკი)	4	1	1	2	4—4	3
„ვულკანი" (ყაზახეთის პეტრ.)	4	1	1	2	3—5	3
„სუდოსტროიტელი" (ნიკოლაევი)	4	0	1	3	2—6	1

ფრუნზე. „ალგა" (ფრუნზე) — „ამური" (ბლაგოვეშჩენსკი) 2:1, „დინამო" (ლენინგრადი) — „რუბინი" (ყაზანი) 1:2, „კრივბასი" (კრივოი როგი) — „დინამო" (ბათუმი) 0:0.

გათამაშების ცხრილი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ალგა" (ფრუნზე)	4	3	1	0	12—3	7
„დინ." (ლენინგ.)	4	2	0	2	6—6	4
„რუბინი" (ყაზანი)	4	2	0	2	6—7	4
„ამური" (ბლაგოვეშჩენსკი)	4	1	1	2	4—5	3
„კრივბასი" (კრ. როგი)	4	0	3	1	3—4	3
„დინ." (ბათუმი)	4	1	1	2	4—10	3

• • •

გუშინ გროზნასა და ფრუნზეში შედგა ბოლო, V ტურის მატჩები. „დილა" ეთამაშებოდა „სუდოსტროიტელს", ბათუმის „დინამო"—„ამურს".

ხარკოვის ჯგუფში უკვე გამოვლინდა ფინალის ერთი მონაწილე. ეს არის ადგილობრივი „მეტალისტი".

ლიდერთა შესაფერი მატჩი



რუსთავი. „მეტალურგი" სტადიონი. 13 ნოემბერი.

„მეტალურგი" (რუსთავი) — „მაღაროელი" (ქიათურა) 1:0 (0:0).

„მეტალურგი": შელაძე, ავალრინი, პავლოვი, კირვალიძე, ჭიჭია, მიჭაშავიძე, გაგუა, ჭიფარიძე, ალადაშვილი, სიმონიშვილი (ღოლობერიძე), კენკაშვილი.

„მაღაროელი": იმედაძე, წეროთელო კაციტაძე, გოგოლაძე, თაბაგარი, კენჭაძე (ბერმანიშვილი), შელია, სვეოსტოპულო, ჭორიძე, მეხსაძე, მაღრაძე.

მსაჯი უ. ძნელაძე (თბილისი).

რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის ფინიშზე სატურნირო ცხრილში ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ პირველ ორ ადგილს არსებითად მხოლოდ ორი პრეტენდენტი ყავს — რუსთაველის „მეტალურგი" და ქიათურის „მაღაროელი". ამატომ არის ასე დაძაბული მათი კონკურენცია საბოლოოდ გამარჯვებულის გამოსავლენად, ხოლო ლიდერთა უშუალო შეხვედრა რუსთავის სტადიონზე ფაქტიურად საქართველოს წლეულანდელი ჩემპიონის საკითხს წყვეტდა.

სანამ უშუალოდ მატჩის აღწერას შევუდგებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ მეტალურგთა ქალაქში დიდი ინტერესი გამოიჩინეს მეჯვედრის მიმართ. საკმაოდ იყვნენ ფეხბურთის მოყვარულნი თბილისიდანაც. თვით თამაში მიმდინარეობდა მაღალ სპორტულ დონეზე, ტემპიანად, ტაქტიკურად გამართულად. ორივე გუნდმა გამოავლინა კარგი ფიზიკური მოშზადება, მეგრძოლის საუკეთესო თვისებები. სათანადო დონეზე იდგა მსაჯთა ბრიგადაც ე. ძნელაძის მეთაურობით.

მასპინძლებმა დაჯერებულად, აქტიურად დაიწყეს თამაში და უკვე პირველივე წუთებზე შეძლეს რამდენიმე კრიტიკული მომენტის შექმნა. მაგრამ „მაღაროელმა" მეტოქის იერიშებს კარგად ორგანიზებული დაცვა და სახიფათო კონტრშეტევები დუპირისპირა. ჯერ ქორიძე, შემდეგ შელია და ბაღრაძე ზედიზედ აღმოჩნდნენ პოზიციაში, საიდანაც სულ ითლად შეიძლებოდა გოლის გატანა. სტუმრების ამ ჩექიდების შედეგად მეტალურგები იძულებული გახდნენ დაცვაზეც გავმახვილებინათ ყურადღება, რამაც საბოლოოდ ძალთა შეფარდება გაათანაბრა და 45-წუთიანი დაძაბული ბრძოლა უშედეგოდ დამთავრდა — 0:0.

განახლდა თამაში და „მეტალურგმა" მამინვე, 48-ე წუთზე, მიაღწია წარმატებას: შუა მინდორში გათამაშებული კომბინაციის შემდეგ საჯარიმო მოედანზე წამით დიდ დარჩა გაგუა. რუსთაველთა ცენტრფორვარდმა, რომელიც საუკეთესო იყო ამ მატჩში, ზუსტად, გამოზომილად დაარტყა კარის მორიგულ კუთხეში.

გატანილმა გოლმა კიდევ უფრო გააძლიერა თამაში. „მაღაროელმა" სცადა გარდატეხის შეტანა ბრძოლის მსვლელობაში, გაახშირა კონტრშეტევები, რომელთა დროსაც ორჯერ სულ ახლოს იყო მიზანთან (შელიამ ახლოდან ოდნავ აცდინა მიზანს, მერე კი მაღრაძემ ძელს მოახვედრა ბურთი), მაგრამ რუსთაველებმა არ დათმეს მონაპოვარი, მთელი ძალით, მთელი მონდომებით ითამაშეს მატჩის ბოლომდე და დამსახურებულად შეინარჩუნეს გამარჯვება, რომელმაც ისინი კიდევ უფრო ახლოს მიიყვანა საბოლოო მიზანთან. ახლა, ვფიქრობთ, „მეტალურგი" რესპუბლიკის ჩემპიონობის უდავო კანდიდატია.

რ. ქორიძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ამხანაგური შეხვედრები

პრაღა, 13 ნოემბერი. ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთის ნაკრები გუნდების ამხანაგური მატჩის 61-ე წუთისთვის სტუმრები წინ ეყენენ ანგარიშით 2:0, მაგრამ დარჩენილ დროში ჩეხოსლოვაკიის ფეხბურთელებმა შეძლეს თანაფარდობის აღდგენა — 2:2.

პირველი გოლი 31-ე წუთზე გაიტანა გადოხამ, მეორე კი — 53-ე წუთზე შარმახმა. სასასუხო ბურთები გაიტანეს შვეგლიმა და მატჩის დამთავრებამდე 16 წუთით ადრე — მიასნიმ.

სტამბული, 13 ნოემბერი. თურქეთის ნაკრებმა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი წააგო ავსტრიის ეროვნულ გუნდთან — 0:1.

ასე დაწყვილდნენ



მოეწყო ევროპის ერთ-ერთი საკლუბო ტურნირის — უეფა-ს თასის გათამაშების მერვედფინალური მატჩების მონაწილეთა წილისყრა. მეტოქენი ასე დაწყვილდნენ:

„აიაქსი" (ამსტერდამი, ჰოლანდია) ან „ანტვერპენი" (ბელგია) — „იუვენტუსი" (ტურინი, იტალია)

„ნაპოლი" (იტალია) — „ბანიკი" (ოსტრავა, ჩეხოსლოვაკია)

„ჰამბურგერ შპორტფერაინი" (ვფრ) — „დინამო" (დრეზდენი, გდრ)

„პარტიზანი" (ბელგრადი, იუგოსლავია) — „კიოლნი" (გფრ)

„ბორუსია" (მიონჰენგლაღბახი, გფრ) — „რეალი" (სარაგოსა, ესპანეთი)

„ლუკა" (პრაღა, ჩეხოსლოვაკია) — „ტვენტე" (ენსხედე, ჰოლანდია)

„ლერბი ქიუთი" (ინგლისი) — „ვალეეი" (ბოსტარი, იუგოსლავია)

„ფკ ამსტერდამი" (ჰოლანდია) — „ფორტუნა" (დიუსელდორფი, გფრ).

მერვედფინალური შეხვედრები 27 ნოემბერსა და 11 დეკემბერს გაიმართება. პირველი მატჩები პირველად დასახელებული გუნდების მინდორებზე შედგება.

(საკ. ინფ).



ევერალდო დაილუკა

გამოჩენილი ბრაზილიელი ფეხბურთელი ევერალდო, 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონი, დაიღუპა პორტო-ალეგრეს ახლოს მომხდარი საავტომობილო კატასტროფის დროს.



მუსიალი საავადმყოფოში

ბოლოხეთის ნაკრებს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი, X მსოფლიო ჩემპიონატის მესამე პრიზიორი ადამ მუსიალი კარგა ხნით გამოეთიშა მწვანე მინდორს: იგი საავტომობილო კატასტროფაში მოჰყვა. მანქანა, რომელსაც მუსიალი მართავდა, კრაკოვში სატვირთო ავტომობილს დაეჯახა.

დაჯახების შედეგად მუსიალი სერიოზულად დაშავდა. მართალია, მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება, მაგრამ მუსიალს მაინც მოუწევს რამდენიმე თვის საავადმყოფოში გატარება.

ჩვენ ვეძებთ ტალანტებს,

ანუ ახალგაზრდა მოკრივის პორტრეტის შტრიხები

წან, ოცი წლის მოკრივემ, ძალიან კარგად იცის, რომ თავისი სპორტული გზა ერთ-ერთ უმკაცრეს, მაგრამ ყველაზე კეთილშობილურ სახეობაზ დაუკავშირა. რინგის კვადრატი, იუპიტერების მძლავრი სხივები, ნაირნაირი მეტოქეები, კრივის შეუდარებელი ატმოსფერო — ეს არის ახალგაზრდა მოკრივის მოწოდებაც და ჰობიც, როგორც გნებავთ, ისე დაარქვით.

კრივში სავარჯიშოდ იგი არ წაუყვანია მეუობელ ბიჭს, ანდა ეზოში შემოხვევით გადაყრილი ხულიგნის დაჯაბნის სურვილს. არა, იგი ამ სურვილს არ მიუყვანია მწვრთნელ კონსტანტინ ბაბახანიდთან.

ჟურნალისტები ხშირად წერენ ამბავს თუ იმ მოკრივის სპორტული გზის დასაწყისს: შემთხვევით შეიარა სპორტდარბაზში, მწვრთნელმა ყურადღებით შეათვალიერა და ხანმივე გადაწყვიტა მისი ბედი... ავთანდილ ჯავახიშვილი სწორედ ამ „ყალბი რეცეპტით" ჩამოყალიბდა მოკრივედ. ნახევრად, ესე იგი 16 წლის ასაკამდე, იგი რინგს ახლოს აც არ გაკარებია, მიუხედავად იმისა, რომ უფროსი ძმა ტარიელი „სტალინი" მოკრივე ჰყავდა.

ჩან შედარებით გვიან მოჰკიდა ხელი კრივს, ურომლისოდაც ახლა ვერც წარმოუდგენია ცხოვრება. და ეს სიყვარული, რაოდენ საკვირველიც უნდა იყოს, მოწიფულობის ასაკში მოვიდა. ნიშნავს თუ არა ეს, რომ სპორტი, კრივი, კარდახშული არ არის უკვე ლამის ნამოყალიბებული ჭაბუკისთვის? დიახ, ნიშნავს და ამას თვალნათლივ ამტკიცებს ნიჭიერი მოკრივის მაგალითი.

მეოთხე წელია გამოდის რინგზე ავთანდილ ჯავახიშვილი, გაწოდის მტკნაკლები წარმატებით, მაგრამ წინსვლა, პროგრესი, რაც უფრო სტაბილური და უწყვეტია, მით უფრო ზტკიცე რწმენას ბადებს. ამნარტება საზოგადოდ არ შეენის ადამიანს, მით უმეტეს ისეთი მკაცრი, ზოგჯერ ულმობელი სახეობის წარმომადგენელს, როგორიც კრივია. არ შეიძლება, მაგალითად, დღეს ნოკაუტით მოიგო ბრძოლა, ხოლო ხვალ ასევე ნოკაუტით დამარცხდე. არც იმ მოკრივეებს სცდენენ ჯაბიკს, რომლებმ ცხან ჯენტლმენები ჩანან რინგზე, სანაც ქუჩურ მუშტი-კრივსაც არ ერიდებიან. დაახლოებით ასე ფიქრობს ჩვენი წეარილის გმირი და, უნდა ითქვას, ამჯერ ფიქრს ჯერჯერობით კარგის მეტი მისთვის არაფერი მოუტანია.

და აი, ოთხი წლის დინჯი, მეთოდური, გაამზრებული წვრთნა-ვარჯიშის სახლაური: ავთანდილ ჯავახიშვილმა ყირგიზეთის დედაქალაქ ფრუნზეში გამართულ „სპარტაკის" ცენტრალური საბჭოს პირველობაში ჩემპიონის სახელი მოიპოვა. ეს თვალსაჩინო გამარჯვება, თუ კი გავითვალისწინებთ, როგორ უჭირთ ჩვენს მოკრივეებს საკავშირო შეჯიბრებებში წარმატებით გამოსვლა. კიდევ უფრო ამაღლდება ავთანდილის გამარჯვების ფასი, თუ დავძენთ, რომ ქართველი სპორტსმენის ერთ-ერთი მეტოქე მეორე ქვესაშუალო წონაში იყო გამოცდილი მოკრივე, რსფსრ-ს წლეულანდელი ჩემპიონი ეკუალიოვი. თუმცა, ფინალურ ეტაპზე საკავშირო ასპარეზობებში ოლ მეტოქეს არ უნდა ელოდე სწორედ ამიტომ, ავთანდილისთვის უაღრესად დაძაბული ეამოდგა გადამწყვეტი ბრძოლა. მისმა მეტოქემ ამ შეხვედრამდე აშკარა უპირატესობით დაამარცხა ყველა, ვინც ფინალისკენ მიმავალ გზაზე, გადაეოლა. ფინალის პირველმა რაუნდმა ფავორიტის უპირატესობით ჩაიარა. მომდევნო რაუნდებში ქართველმა მოკრივემ ეაღმა შეაბრუნა ბრძოლის ჩარხი და დამაჯერებლად დაამარცხა შეუპოვარი მოწინააღმდეგე.

თუ ამ წერილმა, უფრო სწორად, წერილის გმირმა დაინტერესა სპორტის მოყვარულები, ჩვენ გვინდა ჩათვლეთ ავთანდილ ჯავახიშვილის შედარებით ხანმოკლე სპორტული ბიოგრაფიის ზოგიერთი საყურადღებო დეტალი: იგი თბილისელია. კრივს, როგორც უკვე მოგახსენეთ, მეოთხე წელია მისდევს წარსულში ცნობილი ბოკრივის კონსტანტინე ბაბახანიდის ხელმძღვანელობით, საქართველოს წლეულადელი ჩემპიონია, მანამდე რამდენიმეჯერ გაიმარჯვა იუბილიოთა რესპუბლიკურ პირველობებში, წლეულს I ადგილი დაიკავა საბჭოთა კავშირის გმირის ისმაილ ხამზალიევის სახელობის საკავშირო ტურნირში, მეორე სპრიზო ადგილი ხვდა წილად საბჭოთა კავშირის გმირის მელიტონ ქანთარიას სახელობის საკავშირო შეჯიბრებაში.

აი, ასე აცნობდნენ ფრუნზეს რინგზე მაყურებლებს ახალგაზრდა ქართველ მოკრივეს, სპორტის ოსტატ ავთანდილ ჯავახიშვილს.

ა. გურული.

• • •

სურათზე: ა. ჯავახიშვილი.
ა. კოტორაშვილის ფოტო.



ქარხნის პირველობაზე

შორაპნის ელექტროელემენტების ქარხნის შიდასაკოლექტივო პირველობაში 53 მსროლელი მონაწილეობდა. მაიგან 10 ქალი იყო.

ეფთა შორის გაიმარჯვა ვ. ძუკოვემა (ელექტრომონტიორი) — 49 ქულა 50-დან. II ადგილი დაიკავა ა. თავბერიძემ (ცენტრალური საწყობის გამგე) — 48, III — ო. ლონდაძემ (მე-2 საამქროს ზეინკალი-გამმართველი) — 47 ქულა.

ქალთა შორის 42 ქულით საუარმოს ჩემპიონი გახდა ი. ბობონელიძე (მე-2 საამქროს ტექნოლოგი).

ა. ბანუშრავა.
(ჩვენი კორ.).

შორაპანი,
ზესტაფონის რაიონი.

გაუფრთხილდით „ჟუნდირის ღირსებას“!

დიდი კალათბურთის უპირველესი რეზერვი დუბლიორთა გუნდებში იქმნება. სწორედ ამიტომ, საკავშირო სპორტკომიტეტმა და კალათბურთის შესაბამისმა ფედერაციამ ჩემპიონატის პარალელურად დუბლიორთა ტურნირის ჩატარება გადაწყვიტეს. ამ სიახლემ, რომელიც უკვე რამდენიმე წელია დინერგა, ნაყოფი გამოიღო: უმაღლესი ლიგის ბევრმა კოლექტივმა შევსება დუბლიორთა გუნდებიდან მიიღო.

მაშ ასე: შევთანხმდეთ იმაში, რომ დუბლიორთა ჩემპიონატი არამც და არამც არ წარმოადგენს თვითმიზანს და ხელს უწყობს საბჭოთა კალათბურთის შემდგომ განვითარებას, აღმავლობას. უფრო მეტიც, იმავე სპორტკომიტეტის გადაწყვეტილებით, დუბლიორთა ყოველ მატჩს წინ უნდა უსწრებდეს შეხვედრა მინი-კალათბურთში. ესეც საყვარელი სპორტის თავისებური პროპაგანდაა. სამწუხაროდ, ზოგიერთ ქალაქში მინიკალათბურთელთა მატჩები სხვადასხვა ტექნიკური მიზეზის გამო არ ტარდება.

რა მდგომარეობაა დღესდღეობით დუბლიორთა საკავშირო ტურნირში? პირველ ყოვლისა თვალში გეცემათ ორი გუნდის — მოსკოვის „დინამოს“ და „კალევის“ თავდაჯერებული აქტიური, შედეგიანი თამაში. მათ, მართალია, მხოლოდ 2-2 მატჩი ჩაატარეს, მაგრამ შედეგიანობის თვალსაზრისით არც ერთში 100 ქულაზე ქვემოთ არ ჩამოსულან.

ამ ფაქტს ორგვარი ახსნა შეიძლება მოვუნახოთ: ზემოთ ჩამოთვლილი კოლექტივები ან შეუდარებლად უკეთ თამაშობენ, ან ორივეს „ურალმაშის“ სახით ერთობ სუსტი მოწინააღმდეგე ჰყავდა. ასეა თუ ისე, „დინამოც“ და „კალევიც“ დუბლიორთა საკავშირო ტურნირის პოტენციური ლიდერები არიან.

ლიდერთა შორის იყვნენ თბილისის დინამოელებიც, მაგრამ მათ ბოლო ორი შეხვედრა წააგეს კაუნასის „ჟალგირისთან“ და საგრძნობლად გაიუარესეს სატურნირო მდგომარეობა. თბილისელთა პირველ მარცხზე ბევრს არაფერს ვიტყვით. ლიტველებმა, რომელთა მორის სხვა ნიჭიერ კალათბურთელებთან ერთად თამაშობდნენ წარსულში ცნობილი სპორტსმენის ალგირდას ლაურიტენასის შვილი არუნასი და მოდელტას პაულაუსკასის ძმისშვილი ემასუელისი, შეხვედრა კარგად ჩაატარეს და დამსახურებულ გამარჯვებასაც მიაღწიეს.

მეორე მატჩში კი თბილისელებს რევანშის აღების დიდი შანსი ჰქონდათ. მათ პირველი ტაიმი მოიგეს ანგარიშით 47:38, წინ იყვნენ მეორეშიც და ძნელი საფიქრებელი იყო, რომ ხელიდან გაუშვებდნენ გამარჯვებას. მაგრამ მატჩის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე თბილისელებმა დაკარგეს უპირატესობა და ბოლოს დამარცხდნენ — 84:86.

რა თქმა უნდა, თვით ფაქტი ასეთი დამარცხებისა არ არის სასიამოვნო, მაგრამ ამჯერად ყურადღება გვინდა გავამახვილოთ ზოგიერთი კალათბურთელის ნერვულ, უწესო საქციელზე. დამნაშავეთა გვარებს ამჯერად არ ვასახელებთ: ისინი ახალგაზრდები არიან, ჯერ კიდევ გამოუცდელნი სატურნირო ბრძოლებში, და ვფიქრობთ ბოლო მატჩის მწარე მაგალითი დიდხანს გაჰყვებათ ცხოვრებაში. მაგრამ ის კი უნდა აღვნიშნოთ, რომ თავიანთი უდისციპლინობით მათ დათვური სამსახური გაუწიეს კოლექტივს.

დუბლიორთა გუნდის თითქმის მთელი შემადგენლობა ჭაბუკთა და ახალგაზრდების კოლექტივებიდან არის მოსული. ცხადია, ახალგაზრდებს ჯერ უმნიშვნელო წვლილიც არა აქვთ შეტანილი ქართული კალათბურთის განვითარებაში, ამიტომაც, მით უფრო არა აქვთ უფლება ეჭიროთ თავი მოედანზე გამომწვევად, აგდებულად, ეკამათონ მსაჯს და უსიამოვნო შთაბეჭდილება დატოვონ მაყურებლებზე, რომლებიც სულითა და გულით ელიან მათს გამარჯვებას, ოღონდ ალალ, რაინდულ ბრძოლაში.

იმედს გამოვთქვამთ, რომ „ჟალგირისთან“ ჩატარებული მეორე მატჩის გაკვეთილი უკვალოდ არ დაიკარგება ჩვენი ახალგაზრდული კოლექტივის ცხოვრებაში და მას ყურადღებას მიაქცევენ გუნდის ხელმძღვანელებიც და თვით მოთამაშეებიც. დღეს-სვალ ახალგაზრდებს „დინამოს“ ვეტერანთა შეცვლა მოუხდებათ. ასეთი სასიათითა და საქციელით ისინი კარგ სახელს ვერ დაიმკვიდრებენ კოლექტივში, მეტოქეებში, კალათბურთის გულშემატკივრებში.

„ლელოს“ მიმოხილველი.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 14 ნოემბრისთვის

	მ.	წ.	ბ.	ქ.
ცსკა	4	0	334—273	4
„სპარტაკი“	3	1	367—297	3
„დინამო“ (მ.)	2	0	249—125	2
„კალევი“	2	0	220—128	2
„დინამო“ (თბ.)	2	2	338—332	2
„ჟალგირისი“	2	2	318—316	2
„სტროიტელი“	1	1	151—150	1
რტი	0	2	155—172	0
„სტატიბა“	0	2	132—184	0
„ურალმაში“	0	6	399—686	0

ევროპის თასები

გაიმართა ცნობილი იუგოსლავიელი კალათბურთელის რ. კორაჩის ხსოვნისადმი მიძღვნილი ევროპის თასის გათამაშების პირველი მატჩები.

შეუპოვარი იყო „მონაკოს“ და „ლეგია ფლამენგოს“ (ესპანეთი) გუდების თამაში. „მონაკომ“ გაიმარჯვა 2 ქულის უპირატესობით, მაგრამ მატჩის ანგარიში საკმაოდ უჩვეულოა — 107:105.

ასევე დაძაბული გამოდგა „სპარტაკ-ლევსკის“ (ბულგარეთი) და „მონსოს“ (ბელგია) მატჩი. ბულგარელებმა დიდი უპირატესობით მოიგეს ტაიმი (60:46). შესვენების შემდეგ ინიციატივა ხელთ იგდეს ბელგიელებმა, მაგრამ მდგომარეობის გამოსასწორებლად მათ დრო არ ეყოთ. გაიმარჯვა „სპარტაკ-ლევსკიმ“ — 108:99.

აღსანიშნავია კიდევ ორი მატჩის შედეგები: ჰოლანდიის გუნდების „დონარისა“ და „ეტელბრუკის“ შეხვედრაში უპირატესობა პირველის მხარეს იყო — 110:78 (55:39); „ბრინარიეტმ“ (იტალია) დაამარცხა „უსკ მიუნჰენი“ (გფრ) — 101:86 (52:45).

მოგვყავს დანარჩენ შეხვედრათა შედეგები: „დანენი“ (საფრანგეთი) — „ზბინედა დელ მარი“ (ესპანეთი) 83:58 (33:30), „პანდელინიოსი“ (საბერძნეთი) — „ოსტენდე“ (ბელგია) 88:70 (39:36), „ბამბერგი“ (გფრ) — „სტანდარდი“ (ბელგია) 82:56 (28:25), „პარტიზანი“ (ბელგრადი) — „ვევეი“ (შვეიცარია) 91:85 (46.41).

• • •

ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშება ქალთა შორის ამიერიდან, როგორც აღვნიშნეთ, ლილიანა რონკეტის მემორიალად იწოდება.

გთავაზობთ ამ ტურნირის შეხვედრათა შედეგებს: იეფს-ი (რუმინეთი) — „ტაბაკერო“ (ესპანეთი) 60:49, „ვოჟდოვაცი“ (იუგოსლავია) — „სლავია“ (ჩეხოსლოვაკია) 61:80, „ლიონი“ (საფრანგეთი) — „სპარტაკუსი“ (უნგრეთი) 58:59, „ლოჟი“ (ბელგია) — „მაკაბი“ (ისრაელი) 60:55, „კარსპერგი“ (ბელგია) — „სპარტაკ-ლევსკი“ (ბულგარეთი) 32:115.

ეროვნულ-ერთიანი ბიულეტენი

ჭიდაობა-ჭრილობის ჭერტმაბგე

შვეიცის დედაქალაქ სტოკჰოლმში გამართულ საერთაშორისო ტურნირში მაყურებელთა განსაკუთრებულ ინტერესს მათი თანამემამულის ბიორნ ბორგის თამაში იწვევდა. ამ ახალგაზრდა, უაღრესად ნიჭიერმა ჩოგბურთელმა ამჯერად ვერ გაამართლა გულშემატკივრების იმედები: მან მხოლოდ ნახევარფინალამდე მიაღწია, იქ კი გზა ჰოლანდიელმა ტომ ოკერმა გადაუღობა — 6:4, 5:7, 7:6.

მეორე ნახევარფინალურ მატჩში ამერიკელმა არტურ ეშმა გილერმო ვილასს (არგენტინა) მოუგო — 6:4, 6:4.

ფინალში ეშმა იოლად სძლია ოკერს — 6:2, 6:2. სამაგიეროდ, ოკერმა ამერიკელ მარტი რისენთან ერთად წყვილთა ასპარეზობაში აჯობა ყველას.

ედინბურგში (შოტლანდია) გაიმართა ქალთა საერთაშორისო შეჯიბრება, რომლის ფინალშიც ვირჯინია უეიდმა (დიდი ბრიტანეთი) ჯული ჰელდმანი (აშშ) დაამარცხა — 6:3, 4:6, 6:2.

მსოფლიო მიღწევა

უოლტონი, 13 ნოემბერი. ინგლისის ამ ქალაქში გაიმართა საერთაშორისო შეჯიბრება 30 მილზე რბენაში. გაიმარჯვა ირლანდიელმა მ. მოლოიმ — 2:44.47. ეს შედეგი მსოფლიო მიღწევაა (ძველი მიღწევა — 2:47.20 — 1968 წლიდან ეკუთვნოდა ახალზელანდიელ ჯ. ჯულიანს).

ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებ გუნდში

ნიუ იორკი, 13 ნოემბერი. ინსბრუკის თეთრ ოლიმპიადაში ამერიკის შეერთებული შტატების ღირსებას 40 სპორტსმენი დაიცავს. ნაკრებ გუნდში შევლენ: 16 (8 ქალი და ამდენივე ვაჟი) სამთომოთხილამურე, სადა რბოლების 14 (5 ქალი, 9 ვაჟი) ოსტატი, 6 „მფრინავი მოთხილამურე“ და 4 ორეული.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

სამპრესტიჟო გადაწყვეტილება

დასასრული

ხელმძღვანელი კომიტეტის გადაწყვეტილების პოლიტიკურ მოტივებს.

კომიტეტის ხელმძღვანელებმა თქვეს, რომ ჯერ კიდევ 1970 და 1971 წლებში კომიტეტმა ამების დიდი უმრავლესობით გადაწყვიტა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის გუნდის მოხსნა შეჯიბრებიდან, რასაც მსოფლიოს სპორტული საზოგადოებრიობა მოწონებით შეხვდა. ეს გადაწყვეტილება ლოგიკური გახლდათ, ვინაიდან რასისტთა წარმომადგენლები გაძევებული იყვნენ ოლიმპიური მოძრაობიდან, საერთაშორისო სპორტულ ფედერაციათა უმეტესობიდან. მაგრამ მალე კომიტეტმა შეცვალა თავისი პოზიცია, თუმცა დევისის თასის გათამაშების მონაწილეთა უმეტესობა შეჯიბრებაში სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ჩოგბურთელთა გამოსვლის წინააღმდეგი იყო. მათ გაგლენა ვერ მოახდინეს ხელმძღვანელ კომიტეტზე, რომლის მოქმედების პრინციპებსაც დემოკრატიული არ შეიძლება ეწოდოს.

ბოლო ამბებმა, რაც შავ ლაქად დარჩება დევისის თასის გათამაშების ისტორიაში, მხოლოდ დაადასტურა აქტუალობა იმ მოთხოვნისა, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის წარმომადგენლები არ დაუშვან საასპარეზოდ, სანამ ამ ქვეყანაში ჰუმანიზმისა და სამართლიანობის პრინციპები არ აღდგება.

ი. ხრომოვი.

(საკდისის კორ.).

აკრობატიკა სპორტის ყველაზე ახალგაზრდა სახეობაა, რომელმაც საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. სპორტულ აკრობატიკაში პირველი მსოფლიო ჩემპიონატი წლეულს ჩატარდა. ასპარეზობა დამთავრდა საბჭოთა სპორტსმენთა დამაჯერებელი გამარჯვებით — მათ 14 ოქროს მედალი მოიპოვეს.

ახლახან დამთავრდა აკრობატთა მორიგი საკავშირო ჩემპიონატი, რომელშიც მოკავშირე რესპუბლიკების 200-ზე მეტმა წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა. აქ კვლავ გამოიჩინეს თავი მსოფლიო ჩემპიონებმა.

ამ სურათებზე თქვენ ხედავთ პლანეტის უძლიერეს აკრობატებს, მსოფლიოს და სსრ კავშირის ჩემპიონებს შერეულ წყვილთა შორის, სპორტის დამსახურებულ ოსტატებს გ. და ი. საველიევებს, ავრეთვე, მსოფლიოს და სსრ კავშირის ჩემპიონებს ქალთა სამეულების ჯგუფურ ვარჯიშში ტ. დუბროვინას, ლ. გულიაევას, ტ. საბლინას.

ვ. გალაკტიონოვის ფოტოები.





მწვერვალზე ვერ ავიდნენ

კატმანდუ, 13 ნოემბერი. (საკდესი). აშშ-ს, ინგლისის, გფრ-ის, ავსტრიის, არგენტინის, კოლუმბიისა და იუგოსლავიის მთამსვლელებისგან შედგენილი ექსპედიციის წევრთა უმეტესობამ უარი თქვა ჰიმალაის მთებში მდებარე, მსოფლიოში სიმაღლით მეხუთე მწვერვალის მაკალუს (8483 მ) დაპყრობის ცდაზე. ამ მწვერვალზე ადამიანებმა მხოლოდ ორჯერ შედგეს ფეხი: 1954 და 1955 წლებში.

ექსპედიციის ხელმძღვანელის ცნობით, ამინდი ხელს უწყობდა ასვლას. მაგრამ, მისივე სიტყვებით, როცა მთამსვლელებმა 7400 მეტრ სიმაღლეს მიაღწიეს, ბევრი ფაქტიურად უკვე გამოვიდა მწყობრიდან. სამი მთამსვლელი სერიოზულად დაშავდა, სხვებს თვალები სტკიოდათ. მხოლოდ ამერიკელ ფ. სტრამბერგერსა და იუგოსლავიელ მ. მალეზიცს შეეძლოთ გზის გაგრძელება.

ამ ორმა მამაცმა მთამსვლელმა 7774 მეტრს მიაღწია. რამდენიმე დღის დასვენების შემდეგ ამ მთამსვლელებმა შეძლეს წინ წასულიყვნენ კიდევ 300 მეტრით და იმედი ჰქონდათ, რომ ამხანაგებიც მათ გაჰყვებოდნენ. ორმა მამაცმა კიდევ ერთი დღე-ღამე გაატარა ლოდინში. მაგრამ შემდეგ მათ ვეღარ გაბედეს გზის გაგრძელება, თუმცა მწვერვალამდე სულ რამდენიმე ასეული მეტრი იყო დარჩენილი.

ეს საერთაშორისო ექსპედიცია, წინა ასვლებისგან განსხვავებით, ცდილობდა მაკალუს მწვერვალისკენ გზა გაეკაფა სამხრეთის ფერდობით, სადაც ადამიანს ფეხი არასდროს დაუდგამს.

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 14231

თბილისის სპორტულ ბანაგზე

ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. 16 ნოემბერი. ასკ-ს სტადიონი. ასკ (თბილისი) — „კოლხეთი“ (ხობი). დასაწყისი 12 ს. 17 ნოემბერი. „ლოკომოტივის“ ბაზა დიღომში. „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (ცხინვალი). 12 ს.

„ლოკომოტივის“ სტადიონი
(ი. ჭავჭავაძის პრ. № 74)



სსრ კავშირის ჩემპიონატი



„დინამო“ (თბილისი) — „ჩერნომორეცი“ (ოდესა)

16 ნოემბერს
სათადარიგო შემადგენლობანი
დასაწყისი 15 ს.

17 ნოემბერს
ძირითადი შემადგენლობანი
დასაწყისი 16 ს.

ბილეთების გაყიდვა აბონემენტებზე — 16 ნოემბერს 12-დან 19 საათამდე სტადიონის სალაროებში. საერთო გაყიდვა — 16 და 17 ნოემბერს 10 საათიდან.